

მწევესი

1883-1888

«მწევესი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში. ჯა—

გ ა ზ ე თ ი ს ო ვ ა ს ი :

«მწევესი»

«მწევესი» რუსული გამოცემით

12 თვით 5 მან.

12 თვით 6 მან.

6 — 3 —

6 — 4 —

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Каврилы, Въ редакцію „Милемси“ (Пастыр).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

საქართველოს სამხარხოლოსი აკალსიანი და მონასტრების დათვალნიარება მისი მაღალ უმკლად უსამღვდლოდოსის მთავარ-მისიკოსოსის, საქართველოს მხარხოლის პალაღისაგან.

ღღიდგან მისი მაღალ ყოვლად უსამღვდლოც-სობის პალღადის საქართველოში მობრძანებისა, მთელი საქართველოს სამწყსო დღე-ღღეობით მოცლოდა თავისი ახალი ექსარხოლის ხიღვას და თვით მათ მეუღებასაც სურდა, რომ, რაც შეიძღებოდა, ღროით დაეცაყოფიღებია თავისი სამწყსოსის ამ გვარი ზურგილი, მაგრამ ჯერ ზამთრის მიწეზით და შემღვეღიღი მარხვისა და დღესასწაუღებისა გამო— მათმა მეუღებამ ამ უკანასკნელ ღრომღის ვერ მოახერხა თავისი საექსარხოლოსის ეკღღესიების და მონასტრების დათვალნიარება, გარდა მბიღისისა და მისი ახლო-მახლო ადღიღების ეკღღესიებისა. ამ მისის თთვის დამღვეს მაღალ ყოვლად უსამღვდლოცსმა პალღადიმ განიზრახა დასაღღეთის საქართველოს ზოგიერთი ეკღღესიების და მონასტრების დახეღვა. ამ მიზნით მათი მეუღება 4 მაისს, დღღის 9 საათზე წამობრძანდა მბიღისიღგან იმერეთისაკენ. მათი მეუღება მტუთაისში

მობრძანდა ამავე დღეს, საღამოს 7 საათზე. ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადღენღები შეეღებენ მათ მეუღებას რიონის რკინის გზის სადღურზე. აქვე მიეღება მათ მეუღებას ზღდამხეღველი მტუთაისის სასუღღიერო სასწაღღებღისა. მტუთაისის რკინის გზის სადღურზე მათ მეუღებას მიეღებენ ყოვლად სამღვეღლოზამბრიეღი, ევისკოზოზი იმერეთისა ქაღაქის სამღვეღლოცეით, სხვა საწმუნღებღის სამღვეღლოცების წარმომადღენღები, გუბერნატორი, გუბერნიის დამაზრის თავღდაზნაურთა წინამძღლოღები, ქაღაქის თავი ხმოხნებით და ქაღაქის მრავალი მცხოვრებნი- მაღაქია თავმა, ბ. ასათიანმა, მიართვა ექსარხოლს პურ-მარიღი და მასთან მოახსენა შემღვეღიმოკლე სიტყვა: «თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვეღლოცობავე, მოწყაღღეო მწყემსთ-მთავარო, ნება გეობოძვეთ ჩვენ, ქაღაქის წარმომადღენღეთ, მოგართვათ პურ-მარიღი და ამასთანავე გამოღესტვეათ ჩვენი იმეღი, რომ ის ლოცვა-კურთხევა, რომღითაც თქვენ შემობრძანღით უმაღღესად თქვენღამო რწმუნეღულ სამწყსოში, და ის ზომეღი, რომეღნიც თქვენ თქვენი მობრძანებისათანავე მიიღეთ თქვენღამო რწმუნეღული სამწყსოსის სუღღიერად ამაღღებისათვის, ერთნარად გავრცეღებულ იქნება ჩვენღეღაც».

მათმა მეუფებამ მიიღო პურ-მარილი ქალაქის თავისაგან, რომელსაც თავის მხრით შესწირა მადლობა და ისურვა საქართველოსათვის მშვიდობა და კეთილ-წარმატება.

რკინის გზის სადგურიდამ მათი მეუფება წაბრძანდა პირ-და-პირ საკათედრო სობოროში. ოთმცა ქ. მუთათისის მცხოვრებლებმა მათი მეუფების მობრძანების ამბავი ძალიან გვიან გაიგეს, მაგრამ, თითქმის, მთელი ქალაქი მიეგება მათ მეუფებას. სობორო და მისი გარე-შემო მოედანი მთლად სავსე იყო ხალხით. მათი მეუფება შებრძანდა სობოროში. ჩვეულებრივი შეგვიწყალენის შემდეგ, მწყემს-მთავარმა წარმოსთქვა მოკლე და გრძნობით სავსე სიტყვა, რომელშიაც გარდასცა მშვიდობა ქალაქს, შემდეგ ისურვა მთელი ქალაქისა და მხარისათვის კეთილ-დღეობა, ბედნიერება და წარმატება. ამასთან გადასცა ხალხს ლოცვა-კურთხევა. მათი მეუფების მამა-შვილურმა სიტყვამ და ლოცვა-კურთხევამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. სიტყვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ დაურიგა ხალხს პატარა ხატები და ჯვრები, მაგრამ რადგან ხალხი მეტად ბევრი იყო სობოროში, ამიტომ შეუძლებელი იყო, რომ ყველა მსურველებსათვის დაერიგებია მათ მეუფებას ეს წმიდა საჩუქრები. სობოროდამ მათი მეუფება წაბრძანდა სამღვდელ-მთავრო სახლში, ყოველად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელთან.

მეორე დღეს, დილით მწყემსთ-მთავარმა ინება სასულიერო სასწავლებლის დათვალიერება. სასწავლებლის კარებთან მათ მეუფებას მიეგებნენ ყველა მასწავლებლები, რომელთაც პირველი გაკვეთილი არა ჰქონდათ. მწყემსთ მთავარმა დაიარა ყველა კლასები, თითოეულ კლასში ჰკითხავდა მოწაფეებს, ეცნობოდა მასწავლებლებს; კლასების დათვალიერების შემდეგ შებრძანდა პანსიონერების საწოლ ოთახში, სასწავლებლის წიგნთ-საცავში, რომლის სასარგებლოდ შესწირა ოცი მანეთი. საზოგადოდ მათი მეუფება კმაყოფილი დარჩა მოსწავლეების ცოდნით. მეტად მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მათ მეუფებაზე მოწაფეებმა თავისი კვირცხლი და აზრიანი შეხედულობით. სასწავლებლიდამ წაბრძანების დროს მათმა მეუფებამ შემდეგი სიტყვები ჩასწერა სასწავლებლის წიგნში, რომელიც ინახება სასწავლებლის წიგნთ-საცავში პატარა-საცემ პირთათვის: «ნ მისს, 1888 წელსა ცინახულე სასწავლებელი საქართველოს ექსარხო სმა, მთავარ-ეპისკოპოსმა პალლადიმ და გარდავეცი მას

ღვთის კურთხევა შემდეგ დროში კეთილ-წარმატებისათვის».

სასწავლებლიდამ მათი მეუფება წაბრძანდა ძველი საკათედრო სობოროს დასათვალიერებლად, რომელიც მიშენებულია ბაგრატის ძველი სობოროს ნანგრევებზე. მათი მეუფება მეტად გააოცა ძველი ქრისტიანების თავ-განწირულებამ, რომელთაც აღუშენებიათ ეს ტაძარი.

ოთრმეტი საათის დასაწყისი იყო, როცა მათი მეუფება წაბრძანდა ტყიბულის რკინის გზით გაენათის მონასტერში. ზხაზე მწყემსთ-მთავარმა ინახულა მოწამეთის მონასტერი, ემთხვია წმ. მოწამეთა ღვთის და ძონსტანტინეს ნაწილებს, რომელნიც ეწამენ 740 წელში მრისტეს დაბადების შემდეგ; მათ მეუფებაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მონასტრის სიღარიბემ; მათმა მეუფებამ რამდენიმე წამი შეისვენა მონასტერში არქიმანდრიტის ბესარიონის სადგომში და შემდეგ წაბრძანდა ბაენათის მონასტერში. ბაენათის რკინის გზის სადგურიდამ მათი მეუფება ფაეტონით წაბრძანდა მონასტერში. ოთმცა წვიმა და დიდი ტალახი იყო და რკინის გზის სადგურიდამ მონასტრამდის კაი აღმართიც არის, მაგრამ 30 კაცის შემწვობით, რომელნიც გამოწვეულნი იყვნენ პოლიციის განკარგულებით, მათი მეუფება მშვიდობით მიბრძანდა მონასტერში. მწყემსთ-მთავარმა დაათვალიერა მონასტერი და ყველა ძველი შესანიშნავი ნივთები; მათი მეუფება მეტად გააკვირვა ხახულისა ღვთის-მშობლის ხატის სიდიდემ და მისმა ძვირფასმა მორთულობამ, საქართველოს მეფეების და კათალიკოსების ძველმა ნივთებმა, რომელსაც ისინი ხმარობდნ ღვთის-მსახურების დროს, ძველმა ხელ-ნაწერმა სახარებამ, რომელიც ძვირფასად არის მორთული. სხვა ხელ-ნაწერთა შორის ყოველად სამღვდელთა ბაბრიელმა უჩვენა ექსარხო სს სახარების განმარტება, ბერძნულს ენაზე დაწერილი; არავინ უწყის, რომელ წელს ეკუთვნის ეს ხელ-ნაწერი. ამ რამდენიმე წლის წინაჲ ეს განმარტება უპოვნიათ სვანეთში ერთი გლეხის სახლში. ძალიან ესამოენა მწყემსთ-მთავარს, რომ ძველი დროის შესანიშნავი ნაშთნი ასე დაცულან ბაენათის მონასტერში, ამასთანავე მათმა მეუფებამ გააფრთხილა ამ მონასტრის წინამძღვარი, რათა ეს შესანიშნავი ნივთნი, რაც შეიძლება, უფრო მაგრად დაიცვან. ექსარხო სსმა დაათვალიერა აგრეთვე წმ. ბიორგის პატარა ძველი ეკლესია, რომელიც აღმშენებულია ღვთის აღმაშენებლისაგან, როგორც ნიმუში ბაენათის დი-

დი ტაძრისა. შემდეგ მათმა მეუფებამ დაათვალიერა ამ მონასტრის დამაარსებელის, მეფის ღვთის აღმაშენებლის სასაფლაო და ძალიან საწყენად დარჩა, რომ დღეს ამ სასაფლაოზე არ არის ეკლესია, რომელი-შიდაც მედამ სრულდებოდეს ღვთის მსახურება; მასთან მწყემსთ-მთავარმა ისურვა, რომ ეს წმიდა და ყოველი მართველისათვის ძვირფასი სასაფლაო უფრო სიწმიდით იქმნეს დაცული. მაართლაც რა ასე საძნელოა, რომ ამ სასაფლაოზე გააკეთონ რამე სიმაღლე, ძველის მხგავსად, რომ არ წაიშალოს ძლოცველებს ფერხთავან სასაფლაოს ზედ-წარწერა, რომელიც დღემდის შენახულა სასაფლაოს ქვაზე. რკინის ალაყაფის ვებერთელა კარებიდგან, რომელიც მოტანილია ღვთის აღმაშენებლისაგან დერბენ ტიღვან, როცა მან გაიმარჯვა პერსიელებზე, დღეს მარტო ერთი ნახევარია, ეს ნახევარიც მთლად ჯანგისაგან არის დაფარული. ამ ნახევარზე დღესაც შენიშნავს კაცი ზოგიერთ ზედ-წარწერას თათრულს ენაზე. ამ კარების მეორე ნახევარი, სამწუხაროდ, დიდი ხანია, რაც მონასტრის საჭიროებაზე უხმარიათ, სახელოდ, მისგან გაუკეთებიათ ლურსმები, რომელიც საჭიროანი ყოფილან მონასტრისათვის.

ამ მონასტრის დათვალიერების შემდეგ მწყემსთ-მთავარმა ინება საუხშის მიღება, რომელიც მოემზადებია მონასტრის წინამძღვარს მ. არქიმანდრიტს სერაფიონს. საზოგადოდ ბაენათის მონასტერმა მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ექსარხოზზე; სხვათა შორის, მწყემსთ-მთავარმა გამოსთქვა მწუხარება, რომ მონასტერი, რომელიც ასე გამშვენიერებული და გამდიდრებული ყოფილა ძველი ქრისტიანებისაგან, დღეს თითქმის უყურადღებოდ არის დატოვებული და სიღარიბეშია.

ნაშუადღევს სამ საათზე ექსარხოზი დაბრუნდა მუთაისში, სადაც მიპატიჟებული იყო გუბერნატორისაგან სადილზე. 5 მაისს, საღამოს ექვს საათზე მწყემსთ-მთავარი გაბრძნდა მუთაისის რკინის გზის სადგურზე. სადგურამდის გააცილეს მათი მეუფება ყოველად სამღვდლო ბაბრიელმა და ქალაქის წარმომადგენლებმა. აქედგან მათი მეუფება წაბრძნდა ქალაქ შოთში.

დებ. დ. დამბაშიძე.

მუთაისის სასულიერო ოლთხ-კლასიანი სასწავლებლის ოლქის საპლედლოების წარმომადგენელთა კრება მ. მუთაისში.

26 და 27 მაისს კრება ჰქონდა იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენელთა მ. მუთაისში. ამ კრებაზე, როგორც წინა კრებებზე, დაესწრო მისი ყოველად უსამღვდლოესობა იმერეთის ეპისკოპოზი ბაბრიელი, რომელმაც, სხვათა შორის, მისცა სამღვდლოებას დარიგება და მასთან სთხოვა მათ, რომ იგინი ეცადონ და აღმოუხვრან ხალხში სხვა-და-სხვა არა-ქრისტიანული ჩვეულებანი და ცრუ-მორწმუნეობანი. მათმა მეუფებამ გამოუცხადა კრებას, რომ მან მუთაისში უკვე დაარსა წმინდა სანთლის ქარხანა და მოითხოვა სამღვდლოებისაგან დახმარება და შემწეობა როგორც ცვილი სანთლის მოპოებაში, ისე სანთლის გასყიდვის საქმის კარგად წაყენაში. ამ ქარხანაში ჩამოსხმული სანთელი, ბრძანა ყოველად სამღვდლომ, უთუოდ უნდა იქნეს წმინდა. ძვირადაც რომ დ გვიჯდეს ამისთანა წმინდა სანთლის ჩამოსხმა, მაინც არ დავეძებთ, ოღონდ მოისპოს კეთება ყალბი სანთლისა, რომელიც აფუჭებს ტაძრებში საეკლესიო ნივთებს და ამასთან წინააღმდეგია ამ მსხვერპლის დაწინაშეულებსა.

ამ კრებაზე სამღვდლოებას ჰქონდა მსჯელობა თბილისის სასულიერო სემინარიასთან პარალელური კლასებისათვის შენობის აღშენებაზე, რომლისათვისაც მთელი საექსარხოზოსის სამღვდლოებისაგან ითხოვება 40,000 მანეთი. სამღვდლოების კრებამ სრული თანხმობა განაცხადა მართლ-მანეთის სამღვდლოების წარმომადგენელთა დადგენილობაზე. ამასთან სამღვდლოებამ სთხოვა თავისი ყურნალური დადგენილობით მისს ყოველად უსამღვდლოესობას, იმერეთის ეპისკოპოზს ბაბრიელს, რომ მათმა მეუფებამ აღძრას ხელახლად კითხვა მუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ და შეატყობინოს უმაღლეს მთავრობას, რომ ერთად ერთი სასულიერო სემინარია ვერ აკმაყოფილებს მთელი საექსარხოზოსის სამღვდლოების მოხრეცილებას.


შემდეგი კითხვა, რომელზედაც კრებას ჰქონდა მსჯელობა, შეეხებოდა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელთან არსებული პანსიონის გაუმჯობესების საქმეს. სასწავლებლის პანსიონში არის სულ ოცდაათი ადგილი სასულიერო წოდების ღარიბ და ობოლთათვის. საეკლესიო ხაზინა დღემდის პანსიონის შენახვად იძლეოდა წელიწადში 1500 მანეთს, დანარჩენს ხარჯს, შეძლებისა და გვარად, ფარავდა თვით სამღვდლოება. ამ წელში ამ პანსიონის შენახვა მთლად სამღვდლოებას დაადევს, რომლისათვის ეთხოვებოდა მას ორი ათას შვიდას მანეთამდე წელიწადში. დღემდის სამღვდლოებას სანთლის მოგებისაგან ეძლეოდა სასწავლებლის ხარჯის დასაფარავად ორი წილი, თუ კი ეკლესიაში იყო ამისთანა შემოსავალი. მხლა კი სანთლის მონაგებიდან სამღვდლოებას ეძლევა მარტო ნახევარი. ამისათვის კრებამ გადაწყვიტა პანსიონის დახურვა, რადგან ამ მომეტებული ხარჯის წყაროები ვერ გამოჩნდა. ამათან კრებამ დაადგინა, რომ თითოეულ ღარიბს მიეცეს კერძო ბინებზე თვეში 7 მანეთიდან 9—დე შემწეობა.

სამღვდლოების ამ გვარ განჩინებაზე უთანხმოება განაცხადა დეპუტატმა დეკანოზმა დ. ლამაშიძემ, რომელმაც ამ კითხვის შესახებ მოიყვანა ბევრი მოსახრებანი. სხვათა შორის, მან სთქვა შემდეგი: «ბევრი დეპუტატები, მართალია, იმ აზრისა არიან, რომ პანსიონის შესანახავად ბევრი ცხარჯება სამღვდლოებას გარდა იმისა, რასაც ხაზინა იძლეოდა აქამომდე პანსიონის შესანახავად და რაც დღეიდან თვით სამღვდლოებამ უნდა მიიღოს თავზე, მაგრამ ამისთანა და სხვა ამის მზგავსი მოსახრებანი დეპუტატთა არ გვაძლევენ ნებას, რომ პანსიონი დაეხუროთ. პანსიონის შესანახავი ფულების მომატებაზე 1873 წლიდან არის კითხვა აღძრული, მაგრამ სამღვდლოებამ შეუძლებლობისა გამო ვერ დააკმაყოფილა ეს კითხვა. ყოველ კრებაზე გვიცხადებენ დეპუტატებს, რომ თითო პანსიონერის შესანახავად დანიშნული ხუთი თუმანი არ კმარაბსო. მართალია, თითო პანსიონერზე ხუთი თუმანი არის დანიშნული ხარჯად, მაგრამ სამღვდლოება სასწავლებლის მოსამსახურებზე, შემაზე, წყალზე, სანთელზე და სავათ-მყოფოზე თითქმის ორი ათას მანეთს ხარჯავდა და დღესაც ხარჯავს. მაშასადამე თითოეულ შაგირდის შენახვა წელიწადში ჯდება არა ხუთი თუმანი, არამედ ბევრად მეტი ამაზედ. მე არ ვიტყვი იმას, რომ 1500 მანეთი პანსიონერებისათვის სრულიად საკმაო იყოს. მაგრამ ჰკმა ქონდ-

ბაზე ჰკილია. შეძლებისა და გვარად ვარჩინოთ პანსიონერები ისე, როგორც აქამომდე გვირჩენია. მართალია, ესლა გიმნაზიებში მოსწავლე ყმაწვილების მშობლებისაგან ითხოვენ, რომ მათ თავიანთი შეილები დააყენონ რიგიან ბინებზე, სადაც მოწაფეებს ეძლეოდეს სამი და ოთხი თავი საქმელი. მაგრამ რა გამოიწვია ასეთმა განკარგულებამ? ის, რომ ათში ხუთივე ველარ სძლებს შეილების გამოზრდას. ჩვენი სასწავლებლის დასახედავად მოსულ რევიზორებს უყვიროს, რომ ჭადისა და ლომისაგან რატომ არ იხატებიან ჩვენი შეილები, მაგრამ მათ ვერ შეუყნიათ, რომ ჭადი და ლომი ისე უწყინარია ჩვენი შეილებისათვის, როგორც რუსებისათვის შავი პური. ჩვენს მოსწავლეებს ერთი თავი საქმელიც რომ ექნესთ მჭადთან, ისიც საკმაოა და ბევრი ამისთანა შაგირდები არც ტანის სიმრთელით და არც სწავლით უკან არ ჩხებიან იმათ, რომელთაც ყოველ დღე სამი და ოთხი თავი საქმელი აქვსთ. ამისათვის კიდევ გავიმეორებ, რომ ზომიერება მომჭინებოა და ეიკაოთ ყოველივე საქმეში და პანსიონს ნუ მოეშლით». კრებამ მაინც გადაწყვიტა პანსიონის დახურვა, მაგრამ შემის სასყიდლოდ დანიშნულ 700 მანეთს მოაკლო მარტო ოთხასი მანეთი, მოსამსახურების ხარჯს მოაკლო მარტო ორასი მანეთი, წყლის და სხვა ხარჯი შეუცვლელად დასტოვა. ათას ხუთას მანეთამდე სასულიერო წოდების ღარიბ და ობლების შესაწევრად გადადგა და რაღა იყო კიდევ საჭირო პანსიონისათვის, რომ დახურეს?

სამღვდლოების კრებას რომ კარგად მოეფიქრებია, არავითარიმე მეტი გადასახადის გაწერა არ დაჭირდებოდა სასწავლებლის შესანახავად. მა თუ სასწავლებელთან ეკლესიას აღარ აკეთებენ, როგორც ხმები ისმის, მაშინ თუთხმეტი ათასი მანეთი თავისუფალი ფული ექმნებოდათ თავის განკარგულებაში.

დამსწრე.



«მწუხარი»-ს კორესპონდენცია.

სოფელ სმვილამ. სოფლის სევის (რაჭის მაზრაში) შტატის ეკლესიის მახლობლად მდებარეობს ერთი მომალლო გორაკი, რომელსაც სახელიად «საკვირაო»-ს ეძახის ხალხი. ეს გორაკი გარეშეშეშე შემოზღუდულია მუხის ხეებით. როგორც ამბობენ, უწინ ამ ადგილს წმ. ძვირიცეს ეკ. ყოფილა, მაგრამ დღეს აქ ვერაფერია ნაშთს ეკლესიისას ვერ ნახავთ. ამ სოფლის მცხოვრებთ ერთი მუხის ძირზე დაუსვენებიათ ერთი ძველი ხატი, რომლის წინაშე მიაქვს შესაწირავი. სწორავენ მსხვილად ჩამოქნილ სანთლებს, გამომცხვარ პურებს და ფულებს. ხალხი დარწმუნებულია, რომ, ვინც ამ ხატს მსხვერპლს შესწირავს, იგი სრულიად განიკურნება თვალის ყოველნაირი ტკივილისაგან. ამ ხატის წინაშე უფრო ხშირად ნახავს კაცი ქალებს, რომელნიც სწორავენ ხატს სანთელს, პურს და ფულებს და ევერდებიან შემდეგი სახით: კვირა ძალით უხვევლო, დამიფარე თვალების ტკივილისაგან და ყოველს წელს მოგართმევ სანთელსა და განაუტენსა შენის დიდებისათვის. ამ გორაკზე დიდ-ძალი ხალხი იკრიბება სადღესასწაულოდ ახალკვირას და მის მეორე დღეს. ხალხი მოდის ახლო-მახლო სოფლებიდან და მოაქვს შესაწირავი. ჯერ ილოცავენ და ვისაც შესაწირავი აქვს, სწირავს ხატს. წელს ამ ხატს შემოეწირა დიდ ძალი გამომცხვარი პური, რომელიც ექვს კაცს ეყოფოდა საზიდავად, ფული ხუთ მანეთამდის და წმინდა სანთელი ათი გირვანქა მეტი იქნებოდა. ეს შემოწირული სანთლები გლეხთ ბაკურაძეებმა და პატაშვილებმა დაახვიეს ერთად და შემოაყოლეს ძირიდან შუამდის იმ მუხის ხეს, რომლის ძირშიაც ასვენია ხატი. შემდეგ ყველა ამ სანთლებს მოუკიდეს ჭასე უბრალოდ დასწევს. თუმცა მე, ჩემი მოვალეობისა მებრ, აუხსენი ხალხს, რომ შეწირული ფული და სანთელი მოცხმარებიათ თავიანთი შტატის ეკლესიისათვის, მაგრამ ჩემი ჩიტყვები უყურადღებოდ დარჩნენ. აი რა მიპასუხეს ბაკურაძეებმა: «ეს არის ჩვენი ჩვეულება, შემოწირული პურები ათმა მოსახლემ უნდა გავიყოთ, სანთლები მუხანზე და მის გარეშეშეშე უნდა ავანთოთ და დავსწვათ, და უწუვათ სანთლის გაშვება არ შეიძლება. ამ ხატის შესაწირავისაგან ჩვენ ვერაფერს ვერ მოვანხართ შტატის ეკლესიას!» სამწუხაროდ, ჩემ წინამოადგილე მღვდლებს არ მიუქცევიათ ამ გარემოებისათვის ჯეროვანი ყუ-

რადღება, თორემ აქამომდე კაი ძალი ფულები შედგებოდა იმ შესაწირავებისაგან, რომელიც ეწირება ზემოდ აღნიშნულს ხატს როგორც ახალ კვირას და მის მეორე დღეს, ისე სხვა დღეებში.

როცა ხალხი შეწირავს გაათავებს, მერე გამართავს ფერხულს, რომლის დროს იმღერებენ შემდეგს:

«ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს,
 მაგლი მახარობელსაო,
 გაიხაროს ყოველმა სულმა,
 ყოველმა სულმა სულიერმა,
 ჩიტმა, შაშვმა და შრომანმა,
 ტყე და ველმა და ფურცელმა,
 ჭინჭველამ ფოთლორცისამა
 იმანაც გაიხაროს!»

იმედია, რომ ადგილობრივი ბლალაჩინი დეკანოზი მ. ალექსი შიჭინაძე მიაქცევს ყურადღებას აღწერილს გარემოებას და ცდებდა, რომ ყოველი შესაწირავი, რასაც ხალხი სწირავს ზემოდ მოხსენებულ ხატს, ფულად აქციოს და მოახმაროს ამ სოფლის შტატის ღარიბ ეკლესიას.

მღვდელი ალექსი ბაქრაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ბრიგორისაგან, ბრძანებისა მებრ მისი მაღალ ყოვლოდ უსამღვდელოესობის პალლადისა, ამა თვის 30 რიცხვისათვის დანიშნულია ამ ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ახალ-სენაკში. ახალ-სენაკის სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებლის შესახებ. ამ კრებაზე სამღვდელოებამ საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს ამ სასწავლებლის მარტილში გადატანა და ან სენაკშივე დატოვება. ამ კითხვის საბოლოოდ გადაწყვეტა ექსარხოსმა მიანდო თვით სამღვდელოებას. იმედია, რომ ამდენი ხნის დაუბოლოებელი კითხვა, ეხლა მაინც გათავდება. ზოგიერთი მღვდლები აცხადებდნენ სურვილს, რომ კრება სამღვდელოებისა დანიშნული-

ყო მარტვილში, მაგრამ, ჩვენი აზრით, კარგად უნებებია ყოველად სამღვდელთა ბრიგადის, რომ ეს კრება ახალ-სენაკში დაუნიშნავს.

.

11 მაისს, დილის ათ საათზე ყოველად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსმა მადრიელმა დაათვალიერა მათისის გუბერნიის თავად-აზნაურები, რომელნიც შეკრებილნი იყვნენ მათისის გუბერნიის და მახრის წინამძღოლების აღმოსაჩვენად და სხვა-და-სხვა თავიანთი საქმეების გარდასაწყვეტად. მათივე მეთავე მათმა მიუყვებამ თავად-აზნაურთ გადასცა დარაგება და ურჩია, რომ მათ დაუტევონ ყოველივე პირადი ანგარიშები და კარგად მოიფიქრონ თავიანთი მდგომარეობაზე და ამოიჩიონ თავიანთ შორის წინამძღოლებად ისეთი კაცები, რომელთაც სამის წლის განმავლობაში კანონიერად და სასარგებლოდ აწარმოებდნენ თავად-აზნაურთა საქმეები. აღრჩევების დროს, ბრძანა ყოველად სამღვდელთა, ყურადღებას ნუ მიაქცევთ «პატივისცემას», როგორც ეს დღემდის ხშირი იყო ხოლმე.

.

ამ თვეში, სოფელს სიმონეთში ღამით ავაზაკები დატყვევებდნენ ბლალოჩინად ყოფილს მღვდელს ბიორგი ძლიაშვილს. ავაზაკებს გარდა სხვა-და-სხვა ნივთებისა ფულად ექვსას მანეთამდე წაუღიათ. მძლიაშვილს დღესაც ეტყობა კისერზე ხანჯლის წვეროთი გაკაწრული ადგილები. ავაზაკები უკვე დაუტყვრია მთავრობას.

.

«მწყემსი»-ს რედაქცია უკვე შეუდგა საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სახმარებელ ძველ და ახალ აღთქმის ისტორიის შედგენას თანახმად უწმიდესის სინოდისაგან დამტკიცებულის პროგრამისა. სახელმძღვანელო იქმნება რუსულს და ქართულს ენაზე. რედაქციას ამ სახელმძღვანელოსთვის დამხადებული აქვს საჭირო სურათების ყველა კლიშეები.

შ ე ნ ი შ ვ ე ა .

იმერეთის სასულიერო მთავრობის კანცელარია საჭიროდ რაცხს დაბეჭდოს წინააღმდეგ შენიშვნისა, რომელიც იყო დაბეჭდილი «მწყემსი»-ს 8—9 №-ში, გამოჩინებულის საბლალოჩინო მახრაში ბლალოჩინად განწესების თაობაზე, რომელ შენიშვნაშიაც შეუფერებლად და უმართლოდ იყო მოყვანილი განკარგულება ეპარქიის მთავრობისა. ბლალოჩინის ადგილ-

ზე სამღვდელთა პირი დამსახურებული და გამოცდილი საქმეების წარმოებაში, ცოტა თუ ბევრად, თავისუფალი სხვა და-სხვა მნდობილებათაგან, აგრეთვე გავლენიანი თავისი ხნოვანებითა და კეთილ-ხნობითა და ამ მხრით ჩვენი ყოველად უსამღვდელთაგან მადრიელი უფრო კარგად იცნობს იმერეთის ეპარქიის მღვდლებს და უფრო სისწორით შეუძლია გაარჩიოს, რომელი მღვდელი უმჯობესად აღასრულებს ბლალოჩინობის თანამდებობას—თუმცა ეს უკანასკნელი აზრი განმარტებას არ მოითხოვს მათთვის, ვინც ცოტათი მაინც კი იცნობს ყოველად სამღვდელთა მადრიელის მაგარ ხასიოს, მოუყიდველ მიუდგომლობას, სწავლა განაძღვრებას და გონიერ მწყემსთ-მთავრულ მმართველობას, მაგრამ საჭიროდ ვთვლით ეაცნობოთ მათ, რომ მამა გერსამია არის 49 წლისა, შემდეგ ოთხკლასიანი კურსის შესრულებისა, მიუღია პრაქტიკული გამოცდილება საქმეთა წარმოებაში საეპარქიო კანცელარიაში სამსახურის დროს და მერმედ უბიწოდ განუტარებია 12 წელი ბლალოჩინობაში, რომელზედაც იგი ამ წელში უმაღლესად დაჯილდოვებულ არს მე.პ. სარისხის ანნას ორდენითა; იმყოფება მეოთხე მღვდლად ქუთაისის უმრევლო საკათედრო სობორში და ხდება თვეში ერთი კვირა რიგითი სამსახური; დანარჩენი სამი კვირა არის თავისუფალი და ამ დროში მას შეუძლია თავისუფლად მსვლელობა საბლალოჩინოში და შესაფერი თვალ-ყურის გდება ეკლესიათა და კრებულთა; არ აწუხებს მას ზრუნვა ცოლ-ჩვილზე და სხვა... ამისთანა კაცს, არათუ უპირატესობა უნდებოდა მრევლად გუშინდელ ნაკურთხ და მრევლში გაგზავნილ გამოუცდელ ყმაწვილს სემინარისტებზე, არამედ უნებურათაც შეუძლებელ იქმნებოდა მისი უარის თქმა და ასე თითქმის სრულიად უსაქმოდ დატოვება. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კარგი და გამოცდილი ბლალოჩინი, როგორც ეპარქიისათვის არის საჭირო და სასარგებლო, მსგავსადვე თვით ეპარქიის მმართველისათვის სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, რადგანაც იგი არის მისი უმახლობელისი შემწე და ცუდს, არა თუ ყოველად გონიერი და განათლებული ეპისკოპოსი იმერეთისა, არავინ არ ისურვებს თავის თავისათვის. *)

*) თერმეც მაისს შემდეგ ჩვიდმეტამდე ჩვენ სტამბაში არ ვყოფილვართ და ხსენებული შენიშვნის გაშვება მომხდარიყო უჩვენოთ. რედაქტორი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნობაზე.

ს ი ტ ყ ვ ა

თქმული მაღალ ყოვლად სამღვდლოას, საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის მიერ

იხსოვრება ჩინებამის დღეს.

უკეთუ ქრისტეს თანა აღსდგით, ზეცისასა ეძიებდით, სადაც იგი ქრისტე არს მარჯვენით ღმრთისა მღვდლმარე; ზეცისასა ზრახვედით და ნუ ქვეყნისასა (კოლ. 3, 1, 2).

ამ სიტყვებით წმ. მოციქული პავლე გვამცნებს ჩვენ, თუ რა სახით შეგვიძლია თანაზიარ ვიქმნეთ ქრისტეს დიდებულს ამალღებაში. თუმცა თქვენ, თითქო ასე გვეუბნება წმ. მოციქული, თანაზიარი იყავით ქრისტეს აღდგომაში მით, რომ თვითონაც აღსდგით ცოდვათა საფლავისაან, განახლებულ იქმნით ქრისტეს მადლიანი და წმ. ცხოვრებისათვის, მაშინ შეგიძლიათ თანაზიარ იქმნეთ შულის ამალღებაში. უფალი ამბობდა ზეცად და დასჯდა მარჯვენით ღმრთისა მამისა (მარკ. 16, 19), ე. ი. მიიღო პატივი და დიდება, რომელიცა აქვდა უწინარეს საფლავისა და დაბადებისა, როგორც ღვთის ძეს (იოან. 17, 5),—და თქვენც უნდა მიიღოთ დედა ზეციურისადმი, ეძიებდეთ ზეციურს სასუფველს, უნდა ფიქრობდეთ ზეციურზე, და არა ქვეყნიურზე, ზეცისასა ზრახვედით და ნუ ქვეყნისასა.

მეცადოთ, რომ დღეის მოძღვრებაში შეძლებისა და გვარად შევიგნოთ ეს ბრძნული ღმრთიანება მოციქულისა.

რას ნიშნავს სიტყვები ზრახვედით ქვეყნისასა? ამ კითხვაზე, ვგონებ, ძნელი არ იყოს პასუხის მიცემა: ზრახვა ქვეყნიურზე კარგად შეგნებული გვაქვს ჩვენ ყოველ დღიური გამოცდილებით. ზრახვა ქვეყნიურზე ნიშნავს, როცა ჩვენ გვსურს ქვეყნიური, ვფიქრობთ ქვეყნიურზე, ვაკეთებთ ქვეყნიურს და როცა მხოლოდ ქვეყნიურში ვეძიებთ ყოველივე ბედნიერებას,—როცა გარეშე ქვეყნიურისა არასა ვფიქრობთ და არცა რას ვეძებთ. მანვმარტოთ ეს აზრი მაგალითით. როცა სიმდიდრის შეძენა სურს ქვეყნიურზე მზრახველს, რას ჩადის იგი? ის მუდამ იმაზე ფიქრობს, რასადმისაც მიიღებს; იგი მუდამ გართულია იმ ფიქრით, რომ გამოიგონოს საშუალებანი, რათა ადვილად შეიძინოს და გაამრავლოს თავის სიმდიდრე; ამ გვარი კაცის ყოველივე მოქმედება უმეტესად მიმართულია, რათა შეიძინოს სიმდიდრე და მხოლოდ სიმ-

დიდრის შეძენაში ხელავე ყოველივე თავის ბედნიერებას. თქვენ ყველამ იცით, თუ რა თავის განწირულობას, რა შრომას და რა დაუძინებელ ზრუნვას ითხოვს ქვეყნიურზე ზრახვა. ამისთანა კაცი შრომობს დღე და ღამე, იგი მოკლებულია ძილს და მოსვენებას, მიდის სახლიდან ფულის შესაძენად და თითქო ავიწყდება ყველა თავის მოკეთენი, მოგზაურობს ზღვაზე, ხშირად კარგავს ტანის სიმრთელეს—და რასათვის ჩადის ყოველივე ამას? იმისათვის, რომ მიიღწიოს ქვეყნიური ბედნიერებისადმი. მაგრამ ამ ძებნითაც არ თავდება ქვეყნიურზე მზრახველი კაცის ფიქრი. როცა ამისთანა კაცი დაიკმაყოფილებს თავს, მერე შეუდგება იმის ზრუნვას, რომ შეკროვილი სიმდიდრე დაიცვას; ამასთან იგი ხშირად სწუხს და უნუგემო მდგომარეობაში ვარდება, რომ დიდის მწუხარებით და ვაგებით შეძენილი სიმდიდრე არ დაეკარგოს. ქვეყნიურზე ზრახვა არ ვრცელდება გარეშე იმისა, რასაცა ეხებათ და რაზედაც დამოკიდებულია ჩვენი ნივთიერი სარგებლობა, რომელსაც ითხოვს ჩვენი სხეული, ამიტომ რა გასაკვირველია, როდესაც ბევრი და ძალიან ბევრიც მთელ თავის სიცოცხლეს ამ ფიქრსა სწირავს. თვით შუალმა სიტყვა: რამეთუ სადაცა არს სასუფვე თქვენი, მუნცა იყოს გული თქვენი (მათ. 6, 21), ამიტომ ქვეყნიურზე მზრახველთ და მუდამ სიმდიდრის შეძენის მსურველთ ნელ-ნელა უჩლოვნად გვდებათ სულის უმალღესნი მიდრეკილებანი. ამისთანა ამაოდ მზრახველნი შეპყრობილნი არიან ნივთიერი მდგომარეობით, და ისე ეჩვევიან თავიანთ მდგომარეობას, რომ ველარც კი ნიშნავენ ამ მდგომარეობის უკანონობას და თავის თავს ბედნიერად რაცხვენ, მინამ ღვთის მრისხანე შთაგონება, ანუ სხვა რაიმე არა—ჩვეულებრივი და თავზარდამცემი გარემოება არ გამოადვილებს მათ ამ ცოდვის ძილისაგან.

მალა ჩვენ ადვილად შეგვიძლია გავიგოთ, თუ რასანიშნავს სიტყვები ზრახვედით ზეციურისასა. ზრახვა ზეციურისასა ნიშნავს, როცა ჩვენ გვსურს ზეციური, როცა ჩვენ ზეციურზე ვფიქრობთ, როცა ჩვენი წარმოდგენა და მოქმედება მიმართულია მარტო ზეციურისადმი, როცა ზეციურზე ვამყარებთ ყოველივე ჩვენს ნეტარებას. როგორც ქვეყნიურზე ზრახვა ითხოვს კაცისაგან დიდს შრომას, ისე ზეციურზე ზრახვაც ითხოვს კაცისაგან შრომას და თავ-განწირულობას; ზეციურზე ზრახვა აძლევს ჩვენს ცხოვრებას განსაზღვრულ მიმართულებას. თუ გვსურს ადვილად ზეციურისადმი, უწინარეს ყოველისა, უნდა შევამაჯოთ სიმძივი, რომელიც გვეზიდება ქვემოთ; თუკი გვიანდა, რომ დაუახლოვდეთ ზეციურს, უნდა შევასუსტოთ დაბრკოლებანი, რომელნიც გვიზიდავენ ქვეყნიურისადმი; ქვეყნიურზე მზრახველი კაცისათვის ყოველივე შრომის ატანა და დაბრკოლებათა ძლევა სასიამოვნო არის, იგი მზათ არის უფრო გააორკეცოს თავისი შრომა და მოქმედება. აგრეთვე პირველივე ნაბიჯი ზეციურზე ზრახვისა მოითხოვს კაცისაგან არა

მცირე თავის დადებას. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ზეციურზე ზრახვისათვის მოწოდებულ არიან მხოლოდ ზოგიერთი კაცნი, რომელნიც განმორებულან ქვეყნისაგან და მიუტოვებიათ ყოველივე ზრუნვა ქვეყნიურზე. არა, ძმანო, თითოეულმა ჩვენგანმა, როგორც ქრისტიანემ, უნდა ვიფიქროთ ზეციურზე. იქ, ზეცაში, დაფარულია ყოველივე კარგი იმედები ქრისტიანე კაცის სულისათვის; იქ განისვენებენ მართალნი და წმიდანები უწინდელი დროისა; იქ არის შვეალი იესო ძრისტე, სასაება ჩვენა (ა ტიმ. 1, 1); ზეცისადმი მიილტვის ძრისტეს ყველა ნამდვილი მიმბაძველნი; ნუ იფიქრებთ, რომ ზეციურზე ზრახვა მოუხერხებელი იყოს ყოველ დღიურ ჩვენ მეცადინეობასთან. აკეთეთ საქმენი, საჭირონი ქვეყნიური ცხოვრებისათვის, მაგრამ ეცადეთ, რომ არ გადასცდეთ იმას, რაც საჭიროა; განსაკუთრებით ყური ადევნეთ, რომ ქვეყნიურზე ზრუნვამ არ დაახშოს სულის მოთხოვნილებანი, არ დაახშოს თქვენში წარმოდგენა ლმერთზე და საუკუნო ცხოვრებაზე. როცა ქვეყნიური საქმეებით ხართ გართულნი, ეცადენით, რათა თქვენი საქმენი გასწმინდოთ აზრით, რომელიც იყოს მიმართული ზეციურისადმი, ლოცვით ღვთისადმი, რათა ლმერთმა გაკურთხოსთ და შემწე გეყოსთ თქვენ, უნდა მაღლობდეთ ლმერთსა შემწეობისათვის და მშვიდობის მონიჭებისათვის. ამ სახით შეიძლება, რომ ყოველი ქვეყნიური შრომა, რომელიც, რასაკვირველია, წინააღმდეგი არ არის ღვთის ნებისა, შეერთებულ იქმნეს ზეციურზე ზრახვისთან, ე. ი. შეგვიძლია ქვეყნიური და ხილული გარდაეკმნათ უზენაესად და სულიერად.

ზეციურზე ზრახვა შეჭფერის ჩვენი სულის შინაგან ლტოლვილებას. თუმცა კაცა შესდგება სულისა და ხორცისაგან, და თავის სხეულით უახლოვდება მიწას, მაგრამ სხეულს სულთან შედარებით უჭერია მეორე ადგილი, ე. ი. სხეული ექვემდებარება სულს. სული მფარველობს კაცში და იზიდავს მას ზეციურისადმი, რომლის მხგავია თვით, რადგან იგი არის სუნთქვა ყოველად მპრობელისა (შექმ. 2, 7). მართალია, ადამის შეცოდებამ ზეციურისადმი მისწრაფება დაამდაბლა ჩვენში, მაგრამ ახალი ადამის, უფლისა ჩვენისა იესო ძრისტეს აღდგომამ და ამაღლებამ მიანიჭა ჩვენს სულს უწინდელი ღირსეული მიმართულება. თვითონ ქვეყნიურზე მზრახველთ, რომელნიც მართო ქვეყნიურ-

ზე ფიქრობენ, არ შეუძლიათ დრო და დრო არ იგრიდონ თავის მდგომარეობის უკანონობა. ისინი ხშირად გრძნობენ თავიანთ თავში რაღაცა ნაკლებობას; მიილტვიან რაღაცა უკეთესისა და უმაღლესისადმი, რომელიც ქვეყანაზე არსად არ მოიპოვება.

თუ რამოდენად ბუნებითი და მახლობელია ჩვენი სულისათვის ზეციურისადმი მისწრაფება, ეს მაგალითით დაგვიმტკიცეს მრავალმა, რომელთაც თავიანთი სხვა და სხვა მოღვაწეობით და მდგომარეობით მტკიცედ აღასრულეს ღვთის მცნება, და თუმცა ზრუნავდნენ ამა წუთი სოფელზედაც, მაგრამ ქვეყნიურზე ზრუნვა არ ავიწყებდათ მათ ლმერთსა და საუკუნო ცხოვრებას. ამ წმიდანებთ შორის ჩვენ ეხედავთ მიწის მუშაკთ და მხედარს, უბრალო მოქალაქეს, წარჩინებულ პირთა და ეკლესიის მწყემსთაც. მართი სიტყვით არ არის ისეთი წოდება, რომ ცათაშინა არაჰყავდეს წარმომადგენლნი, რომელთაც შეაერთეს თავისი ქვეყნიური მოვალეობანი ქრისტიანულ მოვალეობასთან და ამით მიაღწიეს ზეციურ დიდებას.

აგრეთია, ძმანო, ზეციურისა ზმასჯა, რომელსაც გვიმტკიცებს ჩვენ დღის დღესასწაული. იგი არ ითხოვს ჩვენგან იმაზე მეტს, რისიც მოვალენი არ ვიყოთ, როგორც ქრისტიანენი. თუმცა თქვენ არ შეაერთებთ ქვეყნიურზე ზრუნვას ზეციურზე ზრუნვასთან და პირველი გამსჭვალულ არ იქმნება მეორეთი, მაშინ ამა წუთი სოფლის ზრუნვა ვერ დაახშობენ ჩვენში ზეციურისადმი მისწრაფებას, მაშინ თქვენ იქმნებით მზრახველნი ზეციურისა, თქვენი გული და მხედველობა მიმართული იქმნებიან ზეციური სამშობლოისადმი, სადაცა განისვენებენ მთელი დასი ღვთის სათნო-მყოფელთა, რომელნიც ამ ქვეყანაზე ცხოვრების დროს ფიქრობდნენ ზეციურზე, და სადაც ამაღლებული ზის მარჯვენით მამისა ღვთისა საუკუნო დიდებასა შინა. თუ ქვეყანაზე ცხოვრების დროს ვზრუნავთ ზეციურზე, მაშინ ღირსი შევიქნებით ძრისტეს მაღლის მეოხებით, შევიღეთ ზეციურს სასუფეველში. ამინ.



მაჩემე საჩუქროებისათვის.

(გაგრძელება *).

სული ჭეშმარიტებისა გიძლი-
დეს თქვენ ჭეშმარიტებასა უოველ-
სა და მომავალი გითხრას თქვენ
(იოან. XVI, 13).

საზარელი და მეტად ბნელა იყო საპრობილე, რომელშიაც მარვარა დააპატიმრეს. საპრობილეს ტიტველა და ნესტიან კედლებს, მის სიბნელეს, რომელსაც არ ანათებდა არც ერთი სხივი მზისა და შემადრწუნებელ სიჩუმეს, რომელიც არსებობდა საპრობილეში, თვით გულოვან კაცშიაც შეეძლო აღეძრათ შიში.

მწვალელებმა განგებ ჩასვეს ამ საპრობილეში ქრისტეს აღმსარებელი ქალი; მათ კარგად იცოდნენ, რომ მრავალი სუსტნი არსებანი დაღუბა ამ ბნელმა საპრობილემ, ბევრმა ვერ აიტანა აქ დააპატიმრება და სასირცხოდ უარჰყვეს ქრისტე. მტრები ფიქრობდნენ, რომ მარვარაც ვერ აიტანს აქ ყოფნას და უარსა ჰყოფს ქრისტესო.

მართლაც, მართაობის შიშმა შეიპყრო ახალგაზდა ქალი, როცა მას ჩაუკეტეს საპრობილეს კარები. მარვარა შეწუხდა. მის გონებაში საპრობილეს მორთულობამ აღძრა სხვა-და-სხვა შიში. მართი ერთმა. ნერთზე უფრო სამწუხარო აზრები ებადებოდა მას თავში.

— რისთვის დამაპატიმრეს მე აქ? — მკითხებოდა თავის თავს მარვარა. — ნეტა თუ მამამ იცის, თუ სად ჩამსვა მე? ნეტა თუ იცის მან, რომ მე აქ შეიძლება კიდევ მოკვდე შიშისა და ცუდი ავისაგან? **მ.ჰ!** მან ყოველივე ეს იცის. **მ.ჰ,** ლმერთო! მან დამაპატიმრა მე მისთვის, რომ ქრისტიანი ვარ. მამა, ძვირფასო მამა, ასე როგორ შეარცხვინე შენ შენი ქალი, რომელიც შენ უწინ მეტად გიყვარდა!...

მეტის მეტი ტირილისაგან სული ეგუბებოდა საბრალო მარვარას, ცრემლებით მთლად გაწუწული დაეცა ლიბ იატაკზე. ღიღხანს იტირა მან, მაგრამ მისი ტირილი და ვაება მართა საპრობილის კედლებს ესმოდა. ბოლოს, მთლად ღონე გამოლეული, გაიმხლართა იატაკზე და ცდილობდა დაენახა რამე თვალთ ბნელაში, რომელიც მას გარს ერტყა. მაგრამ

*) ა. ს. „მწვემისა“ № 7 1888 წ.

საბრალო ქალი თავის სხეულის ასოებსაც კი ვერ არჩევდა. ამიტომ კიდევ უფრო საზარელი შეიქნა მარვარასთვის ეს საპრობილე.

სხვა-და-სხვა სამწუხარო ფიქრებით აღივსო მისი გონება.

— რას მერჩოდენ მე, ვანა მე რამეში დამნაშავე ვარ? — ფიქრობდა მარვარა. — მე ჩემი სინდისი მეუბნება, რომ უბრალოდ ვისჯები. სინდისი ნებას არ მადლევს მე გავექცე წვალებას. ეს რომ არ იყოს, რა სიამოვნებით მივატოვებდი მე ამ დაწყვეტილ საპრობილეს, რა სიხარულით დაებრუნდებოდი სახლში და როგორ მოვეხვევოდი ჩემს მოხუცებულ გამდელს! **მ.ჰ,** გამდლო! ზამდლო! მე ველარ მოვესწრები შენს ნახვას.

საყვარელი გამდლის და სახლის მოგონებამ კიდევ უფრო შეაწუხა მარვარა.

რომ როგორმე გაეფანტა თავის მწუხარება და მოეშორებია თავიდან სხვა-და-სხვა მწარე ფიქრები, მარვარამ, როგორც იყო, მიაგნო კარებს, ზედ მაგრად მიეკრა და სმენად გადიქცა, ფიქრობდა, ეგებ გარედამ რამე გავიგონოვო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა; მხოლოდ ძლივს-ძლივობით ესმოდა გარედამ ფეხის ხმა მყარაულისა, რომელიც საპრობილეს კედლებთან დასეირნობდა. საბრალო მარვარამ ვერას გზით ვერ გაფანტა თავის მწუხარება და ვერ მოიშორა თავის გონებიდან სამწუხარო ფიქრები. ამ დროს მარვარას მოაგონდა თავის მეგობარი ქალი, მესტაფია.

